F2844 ლ14151

საქართველოს კომუნისტური პარტია (ბალშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

კვირა, 26 სექტემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 150 მან.

ფასი 8 მან.

№ 52 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 52

«რევოლიუცია სოლიდარული უნდა იყოს. პარიჟის კომუნა უდიდესი გაკვეთილია ჩვენთვის. ის დაეცა იმიტომ, რომ პარიჟის რევოლიუციას დაუყონებლივ მხარი არ დაუჭირა მადრიდმა, ბერლინმა და სხ. რაც შეეხება პირადათ მე—მე განვაგრძობ შრომას მთელი მსოფლიოს მუშების ნაყოფიერ სოლიდარიზაციის საქმის წარსამატებლათ. მე არ ჩამოვცილდები ინტერნაციონალს, რაც კი სიცოცხლე დამრჩენია, როგორც მთელი ჩემი წარსულის ნაშრომი, შეეწირება სამსახურს სოციალიზმის იდეისას, რომელიც, როგორც ჩვენ ყველამ ვიცით, ოდესღაც განხორციელდება პროლეტარიატის დიქტატურის საშუალებით».

კ. მარქსის საბოლოო სიტყვიდან პირველი ინტერნაციონალის უკანასკნელ კონგრესზე 1872 წ. ქ. გააგაში.

## რუსეთთან ხელშეკრულების ამსრულებელნი

ამას წინეთ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი ამხ. კიროვი გაემგზავრა ქ. რიგაში პოლონეთთან საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად. გაყვითლებული „ერთობა“ ორ მოწინავე წერილს უძღვნის ამ გარემოებას და არკვევს მიზეზებს, რომლებმაც „შეუშალა ხელი მოქალაქე ს. მ. კიროვის მისიას,“ ე. ი. რამდენიმე თვის მოლაპარაკება თითქმის უნაყოფო რატომ დარჩა და არ მოხდა რუსეთთან ურთიერთობის საკითხის გამორკვევა და ერთგვარ ნორმალურთან მიახლოვებულ დამოკიდებულების აღდგენა, რა მიზნითაც ახლა მოსკოვში მიემგზავრება საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ბ. გ. მახარაძე. „ერთობა“ რამდენიმე მიზეზს ასახელებს პირდაპირ; ესაა თურმე პირველ ყოვლისა „ხელშეკრულების ზოგიერთ პუნქტების ბუნდოვანი ხასიათი და წინააღმდეგობანი;“ აგრეთვე ადგილობრივი ქართველი კომუნისტები, რომელნიც „რუსეთის მილიონების შემყურე არიან და საბჭოთა ნასუფრალით სუქდებიან, ყოველი საშუალებით ცდილობენ თავის-თავი საბჭოთა რუსეთს დიდათ საჭირო პირებათ და დაუღალავ მებრძოლებათ მოაჩვენონ.“ პოლიტიკური ჯიბგირის თავხედობით გაზეთი ამასთანავე მეათასეჯერ იმეორებს ყოვლად უპასუხისმგებლოთ, რომ მართლა კომუნისტებში თავშეფარებული არიან დენიკინელები, ძველი მოხელეები და ავანტიურისტები და რუსეთ-საქართველოს წაკიდებას ცდილობენ, მათ შორის სისხლის ღვრისთვის ნიადაგს ამზადებენო. ეს პირდაპირი მიზეზები. არაპირდაპირ კი გაზეთი იხსენიებს რუსეთის უგულწრფელობას, ვითომ მას არ სურდეს არ სურდა აქამდის მაინც,—შეასრულოს დადებული ხელშეკრულება და დაადგეს მისი პირობების დაცვას.

ჩვენ დიდი ხანია ვთქვით, რომ რასაც „ერთობა“ და მისი მომავლინებელი ფიქრობენ, მას გაზ. „გრუზია“—ეს არა ოფიციალური ოფიციოზი—ადრევე ამზეურებს თავის ფურცლებზე. გავა ცოტაოდენი დრო და „ერთობაც“ და მისი ტყუპი, ნამდვილი ოფიციოზები, აცოცდებიან თუ ჩამოცოცდებიან იმავე პოლიტიკურ საფეხურზე და იწყებენ გადაღეჭას და ცოხნას იმისას, რაც აშკარა ნაციონალისტურმა გაზეთმა კაი ხნის წინეთ გადაღეჭა.

„ერთობა“ ახლა, ცოტა დაგვიანებით, იფიცება—საზავო ხელშეკრულების ზოგი პუნქტები ბუნდოვანია და წინააღმდეგობათა მატარებელიო. საიდან სჩანს ეს? რაც უნდა მოკირკიტე, რაც უნდა აღმოსავლეთური თუ დასავლეთური გაიძვერაობით ელსავსე დიპლომატი თუ იურისტი არ უნდა მიუყენოთ საზავო ხელშეკრულების ტექსტს—ის აუცილებლად აღიარებს, რომ თავი და თავი, უმთავრესი პირობა ამ ხელშეკრულების იყო და არის:

1. რუსეთის მოსისხლე მტრის—ანტანტის იმპერიალიზმის და მისი ყურმოჭრილ ლაქიის, დენიკინის და მისი მემკვიდრეების შეიარაღებული ძალების გაძევება საქართველოს მიწა-წყლიდან, აკრძალვა მათი აქ დაბუდებისა ამა თუ იმ ფირმის ქვეშ. თუ როგორ შესრულდა ეს მთავარი მუხლი ხელშეკრულების —ამაზე ჩვენ ამ ჟამათ არ შევჩერდებით. ხოლო როცა „ერთობა“ იფიცება—კიროვის მისია უნაყოფო დარჩაო, ამით ის აღიარებს, რომ ეს ნათელი, ყოველ ბუნდოვნობას მოკლებული მთავარი მუხლი ბოლომდის შეუსრულებელი დარჩა. მგონი თვით მენშევიკებშიაც არ მოიძებნება ისეთი ჭკუა მახვილი პოლიტიკოსი, რომელმაც ამ აუსრულებლობაში ბრალი დასდოს საბჭოთა რუსეთს და მის წარმომადგენელს საქართველოში. მხოლოდ ამ ერთ მიზნისთვის, მხოლოდ ამ უბრალო, „დემოკრატიულ“ და „სოციალისტურ“ მთავრობისათვის იოლათ მისაღებ ვალდებულებისათვის რუსეთმა არა თუ იცნო საქართველოს სრული დამოუკიდებლობა ამ უკანასკნელის მიერ ნაჩვენებ საზღვრებში, არც კი უხსენებია ისე დაუტოვა საქართველოს ის გაუზომელი სიმდიდრე, რაც მას ეკუთნოდა სახელმწიფო ქონების და რუსეთის ჯარის მიერ აქ დატოვებულ მრავალ მილიარდის ღირებულების სახით. და თუ კიროვის მოლაპარაკებამ მაინც უნაყოფოთ ჩაიარა „ერთობის“ რწმუნებით—ეს გასაოცარი და აღმაშფოთებელი რამ უნდა იყოს ყოველი საქართველოს მშრომელისათვის.

2. ხელშეკრულება, რომელიც დასდო საქართველოსთან სოციალისტურმა რუსეთმა, და რაზედაც ხელი უწერია საქართველოს მთავრობას, მოითხოვს საქართველოს კომუნისტური პარტიის სრულ ლეგალიზაციას, ე. ი. თავისუფლებას ყველა იმ მოქმედებისა—წერა ბეჭდვისა პროპაგანდა-აგიტაციისა, ორგანიზაციისა და სხ.,—რაც კი წარმოსადგენია ლეგალურ პოლიტიკურ პარტიისათვის. თუ როგორ შესრულდა ეს პირობა ჩვენთან ერთად „ერთობა“-მაც კარგათ იცის, ნუ თუ რომელიმე მენშევიკი იტყვის, რომ სწორედ საქართველოს კომუნისტებმა შეუშალეს ხელი საბჭოთა რუსეთის და მის წარმომადგენელს ან და საქართველოს მთავრობას ამ მუხლის ასრულებაში?

3. დასასრულ, ხელშეკრულობის უკანასკნელი მნიშვნელოვანი პუნქტი გულისხმობს ნორმალურ სავაჭრო დამოკიდებულებას ურთიერთი[...]ამი უპირატესობის მინიჭების ნია[...]გზე (принцип наибольшаго благоприятствования). რაც უნდა მიდგომილი კომენტატორი, პროფესორი თუ თით[...]ს პროფესორი არ უნდა მიუყენოთ ა[...]უხლს საჩიჩქნათ, მისი დედააზრის მიფუჩჩება ან ჩეჯიბვა ყოვლად შეუძლებელია. ეს დედააზრი კი აი რის მღაღადებელია: რუსეთსა და საქართველოს შუა უნდა დაიდვას ცამატებითი სავაჭრო ხელშეკრულება ამ პრინციპზე აგებული. ამ პრინციპის მიხედვით რუსეთსა და საქართველოს შუა მყარდება თავისუფალი ვაჭრობა იმ წესების მიხედვით, რაც თითეულ ამ სახელმწიფოშია შემოღებული. ამას გარდა, თუ კი რომელიმე მხარემ რაიმე უპირატესობა მიანიჭა მესამე სახელმწიფოს—ეს უპირატესობანი თავისთავად, ავტომატიურად ვრცელდება მეორე მხარეზე, რომელთანაც სავაჭრო ხელშეკრულებაა დადებული. ეს უდაო, ნათელი, ბუნდოვანობას აქ ადგილი არ აქვს. მარა „ერთობის“ ბრძენთა-ბრძენ ეკონომისტებს ხელს არ აძლევს თურმე ამ უდაო პრინციპის ცნობა, და ახლავე ემზადებიან, რათა კივილით გაგვაყრუონ თავის უმანკოებაზე და რუსეთის უგულწრფელობაზე, როცა მათი [...]ენიკა-ჩიკოლიკების ღრმა ეკონომიურ-[...]ულ მოსაზრებანი უსიტყვოთ მიღებული არ იქნება. მათ ოქრო მოსწყურებიათ, ოქროს ვერძის ქვეყნიდან ფინანსთა მინისტრი რამდენიმე ხანია გამგზავრებულია ევროპაში და იქ იმპერიალისტების კარებს უკაკუნებს მოწიწებით, მარა მცირე სესხიც ვერ აიღო. ამიტომ მენშევიკებს გადაუწყვეტიათ ოქრო რუსეთისგან მიიღონ აი როგორი უმანკო ხერხით: რუსეთმა საქონელში საქონელი უნდა მოქვცეს ან და ოქრო ჩამოუყაჭოსო. ყველა სხვა ქვეყნის კერძო ვაჭარს თუ მთავრობას შეეძლება საქართველოში საქონელი შეიძინოს ან თავისი საკუთარი ვალიუტით ან და საქართველოს ბონებით, „უპირატესობით“ აღჭურვილ რუსეთს კი არა—მან ან თანაბარი საქონელი უნდა გამოიღოს, ან და ოქრო. მადა ჩინებული აქვთ ჩვენებურ მენშევიკებს, მარა რა შუაშია ხელშეკრულობის აუსრულებლობაში ან რუსეთის უგულწრფელობა, ან საქართველოს კომუნისტების ოინები? ჩაიხედეთ ბატონებო სარკეში და დაინახავთ რუსეთ საქართველოს ხელშეკრულების არ მწყალობელთ.

## ᲘᲪᲝᲮᲜᲔᲑᲘᲐᲜ!

ორ თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც მენშევიკების ცათა შინა გაისმა ფარისევლური ფიცი და ყვირილი: არიქა მუშებო, არიქა დემოკრატებო, თავს ვუშველოთ კომუნისტების გაბაწვრით, მათი დაუნდობელი დევნით, თორემ აჯანყებას ამზადებენ, იარაღის საწყობებს იძენენ, გამოსასვლელად დღეც დანიშნული აქვთ!.

ყველამ გაიგო სულ მალე ამ კივილის ფასი და მისი ნამდვილი სარჩული. ყველა გავეცანით ჩვენი პროკურორების „საბუთებს“, რომლებიც მათ ხელზე დაეხვიათ ქ. სოხუმში ზოგიერთ ჩვენ დაკავებულ ამხანაგების წინააღმდეგ, გავეცანით იმ „იარაღების საწყობსაც“, რომელიც ამხ. კუხალეიშვილის საქათმეში აღმოეჩინათ. საკენკი ნაკლები გამოადგათ მენშევიკებს. ყოველი სინიდისიერი ადამიანი, თუნდა ჩვენი მტერი იყოს ის, უნდა დარწმუნებულიყო, რომ არავითარი საბუთი არ აღმოჩენილა ჩვენი პარტიის არალეგალური მუშაობის და მოქმედების მას შემდეგ, რაც ჩვენ გაგვაბედნიერეს „ლეგალიზაციით“, რომ ყველა ის დოკუმენტები, რაც ჩვენ სოხუმელ ამხანაგებს აღმოუჩინეს შეეხებოდა არალეგალურ ხანას ჩვენი პარტიის არსებობისას, და მას შემდეგ კი, რაც მოშორებულ სოხუმის ოლქამდისაც მიაღწია ლეგალიზაციის ამბავმა, იქ ჩვენს ამხანაგებს არ გადუდგამთ არც ერთი არალეგალური ნაბიჯი, როგორც არ გადუდგამთ დანარჩენ საქართველოს კომუნისტურ ორგანიზაციებს და არც კერძო კომუნისტს. ეს იმდენათ ცხადი შეიქნა, ნამეტურ ყველა ციხეებში კომუნისტების შიმშილობის შემდეგ, რომ თვით მენშევიკებმა ჩაიკმინდეს ხმა, და სოხუმელი ჩვენი ამხანაგების საქმეც, რომელიც იმ თავითვე საველე სასამართლოს გადასცეს, თითქოს შეჩერებულ იქნა და გაიზიარა ყველა დაკავებულ კომუნისტების ბედი: ბრალდება აჯანყების მზადებაში, იარაღის საწყობების მოწყობაში და სხვა ასეთ საშინელებაში კვამლსავით გაიფანტა, დარჩა ჩვეულებრივი ადმინისტრატიული წესით ტყვეობა. მარა ეს ხომ ნამდვილი სკანდალია მენშევიკებისათვის! და ამიტომაც დღევანდელ გაზეთებში იუსტიციის სამინისტრო ხელმეორედ გამოდის ოფიციალური „ცნობით“, რომელიც „ერთობის“ სტატიას უფრო გავს და ხელმეორედ ლეჭავს, უკეთ—იცოხნის ივლისის პირველი რიცხვების ამბავს! იგივე საცოდავი ორი ხელით სასროლი ყუმბარა, დინამიტის პატრონა წონით მეოთხედი გირვანქა, ერთი რევოლვერი და ერთიც ვინტოვკა—ხელახლა მოწოდებულია მენშევიკების სინდისის დაყვავებისაკენ თუ არა, მოქალაქეთა „შესაფუცხუნებლათ“ მაინც. ამ „ცნობის“ განმეორებით გამოცემა მით განირჩევა პირველისაგან, რომ აქ არსად არ არის აღნიშნული რაიმე იარაღი, რიცხვი, რათა გულუბრყვილო მკითხველს ეგონოს, რომ ეს ვითომ ახალი, გუშინდელი ამბავია. გულუბრყვილოთა რიცხვში ვერ ჩავთვლით „სახალხო საქმის“ მამულიშვილ ფარისეველთ და მწიგნობართ; მარა ესენიც დღევანდელი ნომრის მოწინავეში პარაკლისს იხდიან, ჩვენს ხელახლა გაბაწვრაზე კივიან სწორედ იმ ჩუტე „საბუთების“ მიხედვით, რომელიც ორ-თვე ნახევრის წინ გამოაფინა სამინისტრომ პირველად, ხოლო დღეს მეორეთ. თუმცა ერთი ახალი გარემოებაც არის აღსანიშნავი: ახლანდელ „ცნობაში“ მოხსენებულია, რომ იარაღთან ერთად აღმოუჩენიათ კარპინსკის ბროშურა ოსმალურ და სომხურ ენაზე: „რას წარმოადგენს საბჭოთა მთავრობა და როგორ ეწყობა ის?“ არ ვიცით, გაწითლდა თუ არა იუსტიციის მინისტრი, საქართველოს გენერალ-პროკურორი, როცა ასეთ „საბუთებს“ ათავსებდა თავის პროკლამაციაში, ჩვენ კი ვწითლდებით მის მაგიერ. ბარაქალა, ბ-ნო მინისტრო, რომ თქვენს სამწყსო „დემოკრატიულ“ სამეფოში ასეთი ბროშურის დამალვაა საჭირო საქათმეში! და აფსუს თქვენ, რომ ბროშურის ხსენებით გინდათ თავზარი დასცეთ თქვენს გამოყეყეჩებულ ქვეშევრდომთ! მოგახსენებთ ცნობად, რომ ეს ბროშურა შარშან წინ დაიბეჭდა ქუთაისში ქართულად და დაუბრკოლებლად გავრცელდა, ის იყიდებოდა სხვათა შორის ბ. ის. კვიცარიძის წიგნის მაღაზიაშიც.

ნამუსიც კაი საქონელია, ხანდახან მაინც, უფალო მინისტრო!

## ადგილობრივი პრესა.

„მარქსისტულ“ გაზეთ „ერთობას“ მარქსისტული პრინციპის ხანდახან გასახსენებლათ განსაკუთრებული თანამშრომელი ყავს—ბ. დევდარიანი, რომელიც, სიმართლე უნდა ვთქვათ, თავს არ იზოგავს ამ პრინციპების დამახინჯებაში. ის „სახალხო საქმეს“ უხსნის, თუ როგორ უყურებს მარქსიზმი ისტორიულ აუცილებლობას და შემდეგ ნაირათ განმარტავს:

„ტოლსტოის სწამს ისტორიული აუცილებლობა, მაგრამ ის არის ფატალისტი, ის ამბობს—ბედის წერას ვერავინ ასცილდება, რაც მოხდება, მოხდესო. მარქსსაც ისტორიული აუცილებლობა სწამს, მაგრამ ის ყოველთვის იყო მებრძოლი. მარქსისტებს ისტორიულ აუცილებლობათ მიაჩნდათ როგორც „სახალხო საქმე“ ამბობს პროლეტარიზაცია და კონცენტრაცია, მაგრამ ისინი ებრძოდენ ამ აუცილებელ მოვლენებს“.

ჩვენ არ ვიცით ისეთი მარქსისტი, რომელიც ებრძოდა კონცენტრაციას და პროლეტარიზაციას. პირიქით, ისინი ილაშქრებდნენ ... იყვნენ ... ამ მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლას. ამის გამო მათ მოწინააღმდეგენი აწერდენ, რომ მარქსისტებს სასიხარულოთ მიაჩნიათ ეს მოვლენები და მაშასადამე ამათ ხელი უნდა, შეუწყონ, მაგალითათ, შევახშეოზასაც ნიყონ ხელი, რომ დააჩქარონ გლეხების გაღატაკება და სხ. ეს საყვედურები, სხვათა შორის იმავე ფედერალისტების ბანაკიდან ისმოდა, რომელსაც დღეს ეკამათება დევდარიანი. რა თქმა უნდა სრულიად უსაფუძვლო იყო ეს ფანდები, მაგრამ არსებითათ დევდარიანისთანა „მარქსისტი“ ... იტყვის ისეთ შეუ აბამობას, რომ მარქსისტები ებრძოდენ თვით ცხოვრების მსვლელობის აუცილებელ ტენდენციას—კონცენტრაციას და პროლეტარიზაციას.

დევდარიანი ცდილობს დაარწმუნოს თავისი თავი, ვითომ საქართველოს მენშევიკებს არ უღალატნიათ ძველი გზის თვის:

„გაზეთი („სახ.“) ფიქრობს, რომ ჩვენ ვითომ დავადექით სოც. ფედერალისტების ნაჩვენებ გზას იმ დღეს, როდესაც გამოცალკევება მივიღეთ. „სახალხო საქმეს“ უფლება აქვს იფიქროს, რომ ბრწყინვალეთ გამართლდა მისი დიაგნოზი და ისტორიული პროგნოზი.“

არამც თუ „სახალხო“, ჩვენც ასე ვფიქრობთ. ვიცით, რომ დევდარიანი ჩვენს აღიარებას ფედერალისტების წინააღმდეგ გამოიყენებს და მათსას ჩვენს წინააღმდეგ. ველით ამ მხილებას და მაინც არ ვუფრთხით იმის თქმას, რაც სიმართლეთ მიგვაჩნია.

ახალა ყური დაუგდეთ რას ამბობს მის მიერ ერთხელ და სამუდამოთ ათვალწუნებულ ბალშევიზმის წინააღმდეგ:

„რუსეთის ბალშევიზმა მიატოვა საერთაშორისო გზა და თავი შეაფარა ვიწრო ეროვნულ დროშას.“

რაღა დარჩენოდა ამის შემდეგ ქართველ მენშევიკებს იმის მეტი, რომ მათაც მოეძებნათ ეროვნული დროშა და აქაურ ფაგრებლებში განეხორციელებიეთ სოციალიზმი მხოლოთ დემოკრატიზმის გზით კი—დევდარიანი განაგრძობს:

„(რუსეთის) მუშათა კლასს თავისი ნებით არ აურჩევია შინაური და გარეშე რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველი იარაღი. ის—შე მხედველობაში ჰყავს ფართო წრეები—მიუყავდათ როგორც საზარბაზნო მასალა.“

სამი წლის ტიტანიური ბრძოლა და ასეთი დახასიათება! მოდი და ჰკადრა ... კა ... „მარქსისტს.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა რუსეთის პრესა.

## საფრანგეთის ,,დამოუკიდებელი პოლიტიკა''.

ინგლისის რადიკალური გაზეთები „ანტანტის დასასრულზე" ალაპარაკდენ. ნამდვილ დასასრულამდე კი, სამწუხაროთ, ჯერ კიდევ დიდხანს არაფერი ითქმის. მაგრამ რომ საფრანგეთი და ინგლისი რომ დიდი ხანია, რაც, როგორც კატა ძაღლს, ისე უღვრიალებენ ერთმანეთს თვალებს აღმოსავლეთის საკითხის გამო და მათ შორის, რომ „გაუგებრობანი წარმოიშვენ, ეს ეჭვს გარეშეა. ინგლისის მთავრობა გაოცებით უცქერის საფრანგეთის იმპერიალისტების პროვოკაციულ ცდებს—ევროპის ომის დასანთებათ, ვინაიდან მან კარგათ იცის, რომ ამ შემთხვევაში მას ინგლისის მუშები არ გაუწევენ დახმარებას.

და აი, საფრანგეთის იმპერიალისტებმა, დაბოლოს, „დამოუკიდებელი" პოლიტიკის წარმოების მიზეზი იშოვე'ა. ამ პოლიტიკამ რუსეთში და პოლონეთში სისხლის ღვრის გაძლიერება უკვე გამოიწვია; და თუ მას ბოლო მალე არ მოელო, ის საყოველთაო სისხლის ღვრებს და საშინელ ახალ განადგურებას გამოიწვევს.

ყოველ შემთხვევაში, ახლა უკვე ცხადია, რომ რუსეთ-პოლონეთის ომში საფრანგეთია მთავარი დამნაშავე. ამ ომის მზადება საფრანგეთის დიპლომატიამ კიდევ კლემანსოს დროს დაიწყო. მილერანი, რომელიც, როგორც თვითონ იკვეხდა, ნამდვილი გამგრძელებელია იმ იმპერიალისტური პოლიტიკის, რომლის საწარმოებლათ მან, რაც ძალა შესწევდა, ყოველივე მოიმოქმედა, რომ ეს ომი გაეღრმავებია და გაეხანგრძლივებია. საფრანგეთმა ყოველგვარ საშუალებას მიმართა რუსეთ-პოლონეთის საზავო მოლაპარაკებების შესაწყვეტათ და ომის განსაახლებლათ, რომელიც (ომი) ის იყო თითქოს თავდებოდა, ვინაიდან სრულიად ნათელია, რომ საბჭოთა რუსეთი თავის დასავლეთ საზღვრებზე თავის დანიშნულებების სისრულეში მოყვანაზე ხელს არ აიღებს და ყოველ ღონეს იხმარს, რომ პანების დროებითი გამარჯვება მათივე საბოლაო დამარცხებით შესცვალოს.

მაგრამ ჯერ ბურჟუაზიული საფრანგეთი ზეიმობს და, სიხარულით მთვრალი, თავისი თავს თვითონვე ლუპავს, როგორც სულის ჩამდგმელი და თანამონაწილე პოლონეთის თავდასხმისა. მილიერანი სასწრაფოთ უგზავნის პილსუდსკის მისასალმებელ დეპეშას მისი (პილსუდსკის) გამარჯვების გამო. საფრანგეთის წარმომადგენელს პოლონეთში მან გაუგზავნა მეორე დეპეშა, რომელშიც საფრანგეთის დიპლომატიურ და სამხედრო მისიებს ვარშავაში პოლონეთის ჯარების „გამარჯვებაში მონაწილეობის" გამო ულოცავს; სხვათა შორის, ერთ-ერთი ლიონის რადიოს ცნობა ამტკიცებს, რომ პოლონეთის არმია ,,საფრანგეთის ოფიცრების ხელმძღვანელობით ომობს.

ამასთანავე საფრანგეთის მთავრობა რუმინიაში და უნგრეთში განაგრძობს ინტრიგანობას, რათა მათ შორის შეთანხმება მოაწყოს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველათ. იგი თავის პროვოკატორულ პოლიტიკას გერმანიაშიაც აწარმოებს. ეჭვს გარეშეა, რომ სილეზიაში პოლონეთის ავაზაკების მტაცებლური მოქმედება, რამაც შეიარაღებულ შეტაკებების მთელი რიგი განოიწვია, საფრანგეთის კარნახით დაიწყო და მათივე საოკუპაციო ჯარების დახმარებით სწარმოებდა. საფრანგეთი აშკარათ ცდილობს გერმანიის რომელიმე გამოსვლით პროვოკაცია მოაწყოს, რათა ინგლისის საზოგადო აზროვნებაში გარდატეხა მოახდინოს, დააფრთხოს იგი (ინგლისი) „ამდგარ გერმანიის იმპერიალიზმის" აჩრდილით, და მით გამოიყენოს ინგლისი თავისი პოლიტიკის სასარგებლოთ აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში. თუმცა ინგლისის მთავრობის ამ ავანტიურაში ჩათრევა არც ისე ადვილია, მაგრამ თუ საფრანგეთის ცნობებს დაუჯერებთ, შეერთებული შტატები თითქოს აპირებენ მილიერანის პოლიტიკას მხარი დაუჭირონ.

საბჭოთა რუსეთის ომი პოლონეთის პანებთან (და ვრანგელთან) არის სინამდვილეში ომი საფრანგეთის კაპიტალთან. მაგრამ უკანასკნელს ამ შემთხვევაში მთელი ანტანტა ზურგს ვერ უმაგრებს. ეს კიდევ ცოტაა: მის წინააღმდეგაა მთელი ქვეყნის მშრომელი მასსები, და მათ რიცხვში—მისი საკუთარი ქვეყნისაც.

საფრანგეთის პროლეტარიატი თავისი ხანგრძლივი ძილისაგან ესაა უკვე იღვიძებს. ამ გამოფხიზლებას, როგორც სჩანს, საბჭოთა რუსეთისადმი მიმართული საფრანგეთის აგრესიული პოლიტიკა იწვევს. ჩვენამდის მოსულ ცნობებით, დელეგატები—კაშენი და ფროსარი, რომლებიც დაბრუნდენ რუსეთიდან, ენერგიულ აგიტაციას აწარმოებენ საფრანგეთში, რათა რუსეთის რევოლიუციის დასახმარებლად საფრანგეთის მუშებმა აიმაღლონ ხმა. მილიერანის მთავრობამ გადასწყვიტა რეპრესიული ზომებით დაახშოს მუშების პროტესტი, რომელიც მისი „უზენაესი" პოლიტიკის წინააღმდეგ არის მიმართული. მიტინგი, რომელსაც მუშები შანტილიაში (პარიზის ახლოა) აწყობდენ საბჭოთა რუსეთისადმი სოლიდარობის გამოსაცხადებლად, იარაღით დაშალეს. ინგლისის „მოქმედების საბჭოს" დელეგატები, რომლებიც ჩამოვიდენ პარიზში, რათა საფრანგეთის და ინგლისის მუშებმა შეთანხმებულად იმოქმედონ საბჭოთა რუსეთის დასაცავად, გარეკილ იქმნენ საფრანგეთიდან. მაგრამ ამ ძალადობამ უკვე პარადოქსალური შედეგები წარმოშვა, რაც, ალბათ, მილიერანს არ ჰქონდა წარმოდგენილი: საფრანგეთის სოციალისტურმა პარტიამ და შრომის საერთო კონფერენციამ (პროფესიონალური ცენტრი), რომლებიც დღემდის გაუგებრობას იჩენდენ, გადასწყვიტეს, დღეიდან ერთად იმოქმედონ. თავის მხრით საფრანგეთის მაღაროებში და მთა-მადნებზე მომუშავეებმა გადასწყვიტეს, გამოაცხადონ საერთო გაფიცვები, თუ მათი მთავრობა სამხედრო ოპერაციებს დაიწყებს რუსეთის წინააღმდეგ". მოვითმინოთ კიდევ ცოტა, და ჩვენ დავინახავთ, რომ საფრანგეთის მუშები მიხვდებიან, რომ ეს ომი მათი მთავრობის მიერ დიდი ხინია, რაც დაწყებულია.

გერმანიის პროლეტარიატიც ასე მტრულათაა განწყობილი პოლონეთის პანების მიმართ. დანციგის მუშები არ უშვებენ პოლონეთისთვის სამხედრო ბარგებს. საფრანგეთის მთავრობა აპირებს აქაც იხმაროს თავისებური საშუალებები: უკანასკნელი დეპეშები იტყობინება, რომ დანციგში ერთი საფრანგეთის და ერთი ამერიკის კრეისერი იგზავნება,—„რისთვის—ხომ საკითხავი არაა".

თუმცა საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარებასაც დიდი, კოლოსალური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ საბჭოთა რუსეთსა და მის მტრებ შორის წარმოებულ ომში გადამწყვეტი სიტყვა რუსეთის მუშათა კლასს ეკუთვნის. ურყევი პიტერი, რომლის წარსულს და აწმყოს გმირობის შარავანდედი ამშვენებს, თავის თანამოძმეებს ამ ჟამადაც მისცემს მაგალითს. მტრის შემოტევას, მან გადასწყვიტა ორკეცი ძალით უპასუხოს: როგორც კი მოისმა ხმა ფრონტზე აქა-იქ დამარცხებაზე, პეტერბურგის კომუნისტურ პარტიის კომიტეტმა და პეტერბურგის მუშათა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასწყვიტეს, სამი დღის განმავლობაში მობილიზაცია უყონ 1500 საუკეთესო კომუნისტს და გაგზავნონ ისინი პოლონეთის ფრონტზე, ვინაიდან პიტერის ამხანაგებმა კარგათ იციან, რომ

„ვერვინ დაგვიხსნის განსაცდელისაგან,
„დიდ კაცებისაგან ჩვენ არას ველით,
„თვით ჩვენ მივაღწევთ თავისუფლებას
„და მოვიპოვებთ საკუთარ ხელით!

ამ მაგალითს მთელი რუსეთის მუშები მიბაძავენ. აქა-იქ შერყეულ ჯარის რიგებში ჩადგებიან ათასი და ათი-ათასი დასვენებული მებრძოლები, რომლებიც ქვითკირსავით გაამაგრებენ მას, აღაფრთოვანებენ და წაახალისებენ წინ უკანასკნელ და გადამწყვეტ ბრძოლისთვის.

საბჭოთა რუსეთი მიაღწევს თავის მიზნებს. დროებითი და კერძო დამარცხებები მას ვერ დააფრთხობს. მაგრამ საჭიროა ახალი რისხვა დავცეთ მტერს. რუსეთის პროლეტარიატისაგან ისტორია კიდევ ერთხელ თავგანწირვას მოითხოვს. და ამ თავგანწირვას იგი არ დაიშურებს და კიდეც დაამარცხებს პანებს და მის მექომაგე საფრანგეთის იმპერიალისტებს.

ი. სტეკლოვი.

გაზ. „იზვესტია" № 186. აგვისტ. 24

**მსოფლიო პროლეტარიატის არმია მესამე ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით შეტევაზე გადავიდა საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ!**

# ინტერნაციონალის გარშემო

## კომუნისტურ ინტერნაციონალის მეორე კონგრესი მოსკოვში

მეოთხე სხდომა (26 ივლისი)

(გაგრძელება. იხ. „ახ. კომ. № 51)

### ამხ. რიდის სიტყვა

### ზანგების (ნეგრების) მდგომარეობა ამერიკაში

ამერიკაში ცხოვრობს 10 მილიონი ზანგი, რომელიც თავმოყრილია უმთავრესათ სამხრეთ შტატებში, მაგრამ უკანასკნელ წლებში დიდძალი მათგანი გადასახლდა ჩრდილოეთშიაც. ჩრდილოეთის ზანგები მრეწველობაში არიან ჩაბმულნი, იმ დროს როდესაც სამხრეთის ზანგების უმრავლესობა, განსაკუთრებით სამხრეთ შტატებში აუტანელია. ასინი მოკლებული არიან ყველა პოლიტიკურ უფლებებს. შეერთებულ შტატების კონსტიტუციის მე-16 მუხლი აძლევს ზანგებს მოქალაქობრივობის სრულ უფლებას, მაგრამ მიუხედავათ ამისა სამხრეთი შტატები მაინც ართმევენ ამ უფლებებს. სხვა შტატებში, სადაც ნეგრებს კანონით ხმის უფლება აქვთ, მათ კლავენ, თუ კი ისინი გაბედავენ ამ უფლების განხორციელებას.

ზანგებს არ შეუძლიათ თეთრებთან ერთად იმოგზაურონ ერთ ვაგონში, გაჩერდენ ერთ და იმავე სასტუმროებში და რესტორანებში, იცხოვრონ ქალაქების ერთ და იმავე უბნებში. არსებობს მათთვის ცალკე და იმავე დროს უგლახესი შკოლები, ცალკე საყდრები. ზანგების ასეთს განკერძოვებას ეწოდება „დჟიმა კროუ"-ს სისტემა, და სამხრეთ ეკლესიების სამღვდელოება ქადაგებს სამოთხეზე „დჟინა კროუ"-ს სისტემით. მრეწველობაში ზანგები სულ შავი მუშები არიან. უკანასკნელ დრომდე მათ არ უშვებდენ უმეტეს კავშირებში, რომლებიც შედიან შრომის ამერიკის კონფედერაციაში. И. Р. М. რასაკვირველია აკავშირებდა ზანგებს, მაგრამ ძველი სოციალისტური პარტია არავითარ სერიოზულ ნაბიჯს არ დგამდა მათ შესაკავშირებლათ. ზოგიერთი შტატები საერთოთ მათ არ ღებულობდენ პარტიაში, სხვებში ისინი სპეციალურ სექციებში იყვენ გამოყოფილნი, ხოლო სამხრეთ შტატების პარტიული წესდება, საერთოთ რომ ვთქვათ, კრძალავდა პარტიულ სახსრის დახარჯვას ზანგებში პროპაგანდისათვის.

### ზანგები კანონს გარეშე იმყოფებიან.

სამხრეთში ზანგებს არავითარი უფლება არ აქვს კანონით და არ სარგებლობს მისი დაცვით. თეთრებს დაუსჯელათ შეუძლიან მოჰკლან ზანგები. სამხრეთის თეთრების მიერ მოწყობილი სახელოვანი დაწესებულება ეს ზანგების „ლინჩაობაა". ეს ხდება შემდეგ ნაირათ: ზანგს იჭერენ და ჰკიდებენ ტელეგრაფის ბოძზე. ქალაქის ყველა მცხოვრებლები,—მამაკაცები, დედაკაცები, ბავშვები—მოდიან ამ სანახაობისათვის და მიაქვთ სახლში „სახსოვრათ" ნაწამებ ზანგის ტყავის და ტანთსაცმელის ნაწილი.

მეტად ცოტა დროა ჩემს განკარგულებაში, რომ გამოვარკვიო შეერთებულ შტატებში ზანგთა საკითხის წინასწარი ისტორიული პირობები. მონურ მცხოვრებლებს, რომლების განთავისუფლება მხოლოდ სამხედრო ზომა იყო სამოქალაქო ომის დროს, როდესაც ისინი ჯერ კიდევ მაშინ სრულიად განვითარებული იყვენ პოლიტიკურათ და ეკონომიურათ, მისცენ შემდეგ სრული პოლიტიკური უფლებები, რათა გამოეწვიათ სამხრეთში გამწვავებული კლასიური ბრძოლა, რომელიც ხელს შეუშლიდა სამხრეთ კაპიტალიზმის განვითარებას, ქვეყნის ყველა რესურსების დასაპყრობათ ჩრდილოეთის კაპიტალისტების მიერ.

### ზანგების მოძრაობა.

უკანასკნელ დრომდე ზანგებს არ ეტყობოდათ არავითარი კლასიური თვითშემეცნება. პირველი მათი გამოფხიზლება მოხდა ისპანია ამერიკის ომის შემდეგ, სადაც შავი პოლკები იბრძოდენ არაჩვეულებრივი სიმამაცით. აქამდის მათში იყო ერთად ერთი მოძრაობა—ნახევრათ ფილანტროპიული აღმზრდელობითი საზოგადოება, რომელსაც სათავეში უდგა ბუკერი ქ. ვაშინგტონი, და რომელსაც მხარს უჭერდენ თეთრი კაპიტალისტები. ეს მოძრაობა გამოიხატებოდა შკოლების მოწყობაში, სადაც ზანგებს ასწავლიან, თუ როგორ უნდა გახდენ კარგი მოსამსახურენი და მუშები, ხოლო როგორც სულიერი საზრდო მათ არწმუნებენ შეურიგდენ დაპორჩილებულ ხალხის ბედს. ისპანიის ომის დროს ზანგებში გაჩნდა აგრესიული რეფორმისტული მოძრაობა, რომელმაც წამოაყენა სოციალისტურათ და პოლიტიკურათ თეთრებთან გათანასწორების მოთხოვნა. ევროპის ომის დაწყებისას ნახევარი მილიონი ზანგი, რომელიც ჩარიცხული იყო ამერიკის არმიაში, გაგზავნილ იქნა საფრანგეთში, სადაც ჩაწერილ იყვენ რა საერთო ნაწილებში საფრანგეთის ჯარისკაცებთან, უცბათ იგრძნეს, რომ მათ ეპყრობიან ისე, როგორც თანასწორებს სოცალური და პოლიტიკურის მხრივ. ამერიკის გენერალურმა შტაბმა მიმართა საფრანგეთის მთავარ სარდლობას თხოვნით, გაეძევებიათ ზანგები ყველა იმ ადგილებიდან, სადაც კი იყვენ თეთრები და მოპყრობოდენ მათ, როგორც უბირთ. ასეთი გამოცდილების შემდეგ ზანგები, რომლებიდანაც ბევრმა ორდენები მიიღო მამაცობისათვის საფრანგეთის და ბელგიის მთავრობებისგან, დაბრუნდენ თავიანთ სამხრეთის სოფლებში, სადაც ბევრი მათგანი ლინჩის სასამართლოში მოხვდა იმისთვის, რომ გაბედა ეტარებია ქუჩაში თავისი მუნდირი და ორდენი.

ამავე დროს დარჩენილ ზანგებში გაჩნდა ძლიერი მოძრაობა. ისინი ათასობით გადასახლდენ ჩრდილოეთისკენ. დაიწყეს მუშაობა სამხედრო მრეწველობაში და მოხვდენ მუშათა მოძრაობის აბობოქრებულ ტალღებში. მაღალი სამუშაო ქირის რაოდენობა მაინც ვერ ეწეოდა პირველ აუცილებელ საგნების გაძვირებას. ამას გარდა ზანგები აღშფოთებაში მოდიოდენ ყველა ძალების გამოწოვით, უზომო ყვლეფით და განუწყვეტელ მუშაობით.

### თეთრი და შავკანიანი მუშების გაერთიანება

ზანგებმა თეთრ მუშებთან ერთათ მოაწყეს გაფიცვა და ძალიან ჩქარა გაერთიანდენ ერთად სამრეწველო პროლეტარიატთან. მათში ძალიან დიდი გასავალი ჰპოვა რევოლიუციონურმა პროპაგანდამ. ამავე დროს დაარსდა ჟურნალი „მესენჟერი", რომელსაც ცემდა ახალგაზრდა ზანგი—სოციალისტი რანდოლფი. ის აერთებდა სოციალისტურ პროპაგანდას ზანგების კლასიურ თვითშეგნებისა და თეთრების მხეცურ თავდასხმისაგან თავდაცვის ორგანიზაციისაკენ მოწოდებასთან. მაგრამ ამავე დროს ეს ჟურნალი ქადაგებდა მჭიდრო კავშირის თეთრ მუშებთან, მიუხედავათ, იმისა რომ ისინი ხანდისხან მონაწილეობას ღებულობენ ზანგების დარბევაში, და ხაზს უსვამდა იმას, რომ ანტაგანიზმს თეთრებსა და შავებს შორის აღვივებენ კაპიტალისტები თავისი ინტერესებისათვის.

### ზანგების შეტაკებები თეთრებთან

ფრონტიდან არმიის დაბრუნებამ უცბათ აავსო შრომის ბაზარი 4 მილიონი თეთრი მუშით. ამან გამოიწვია უმუშევრობა, ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარის კაცების ფიალა აივსო და ისეთი მუქარის ხასიათი მიიღო, რომ მწარმოებლები იძულებელი იყვენ, ამ უკმაყოფილებისთვის რომ სხვა მიმართულება მიეცათ, განეცხადებიათ ჯარის-კაცებისათვის, რომ მათი ადგილები დაკავებულ იქნა ზანგების მიერ; და ამით პროვოკაცია გაუწიეს თეთრ მუშებს ამოეჟლიტათ ისინი. პირველი ასეთი ამბოხება მოხდა ნაციონალურ სატახტო ქალაქში ვაშინგტონში, სადაც წვრილმა მოხელეებმა, დაბრუნდენ რა ფრონტიდან, ნახეს თავიანთი ადგილები ზანგების მიერ დაკავებული. ეს მოხელეები უმთავრესათ სამხრეთელები იყვენ. მათ მოაწყვეს ღამით ნეგრების უბნებზე თავდასხმა, რათა აეძულებიათ ზანგები დაშინებით დაეცალათ მათი ადგილები. ყველას გასაკვირათ ისინი გამოვიდენ ქუჩაში სავსებით შეიარაღებულნი, დაიწყო შეტაკება და ზანგები იბრძოდენ ისე, რომ ერთ მოკლულ ზანგზე სამი თეთრი მოდიოდა. რამდენიმე თვის შემდეგ ჩიკაგოში იფეთქა მეორე ამბოხებამ, რომელიც რამდენიმე დღე გაგრძელდა და ბევრი დახოცილი იყო ორივე მხრით. შემდეგ კიდევ მოხდა მესამე ხოცვა-ჟლეტა ომაიაში. ყველა ამ შეტაკებებში ზანგებმა პირველათ დაგვანახეს ისტორიაში, რომ ისინი არიან შეიარაღებულნი, დიდებულათ შეკავშირებულნი და სრულიადაც არ ეშინიათ თეთრების. ზანგების წინააღმდეგობის გაწევის შედეგი გახდა, ერთი მთავრობის დაგვიანებით ჩარევა და, მეორეთ, ის, რომ ზანგ მუშებს პროფესიონალურ კავშირებში და შრომის ამერიკის კონფედერაციაში შესვლის ნება დართეს.

### სოციალისტური პროპაგანდა ზანგთა შორის

თვით ზანგებში გაიზარდა რასიული თვითშეგნება. ახლა იმათში არსებობს სექცია, რომელიც ქადაგებს შეიარაღებულ აჯანყებას თეთრების წინააღმდეგ. ფრონტიდან დაბრუნებულ ზანგ ჯარისკაცების მიერ ყოველგან მოწყობილ იქნა თავდაცვის საზოგადოებები ლინჩის სასამართლოს თეთრ მოყვარეებთან საბრძოლველათ. „მესენჟერის" გავრცელება სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, და ამჟამათ ის თვეში 150,00 ეკზემპლიარი ვრცელდება. ამავე დროს სოციალისტური იდეები ნაყოფს იღებს და ფართოთ ვრცელდება სამრეწველო ზანგ მუშებში.

### ზანგების მისწრაფება და მოთხოვნილება

როგორც დაჩაგრული და თავისუფლებას მოკლებული ხალხი, ზანგები აყენებენ ჩვენს წინიშე ორ ნაირ ამოცანას: ერთი მხრით, ძლიერ რასიული და სოციალური მოძრაობა, მეორე მხრით, ძლიერი პროლეტარული მუშათა მოძრაობა, რომელიც ძალიან უწყობს ხელს კლასიურ თვითშეგნებას. ზანგები არ აყენებენ ნაციონალურ დამოუკიდებლობის მოთხოვნილებებს. არც ერთ მოძრაობას, რომელიც მისწრაფვის განცალკევებულ ნაციონალურ არსებობისაკენ, არავითარი გასავალი არ აქვს მათში, როგორც, მაგალითად მოძრაობა „უკან აფრიკაში", რომელიც არსებობდა რამდენიმე წლის უკან. იმათ უპირველეს ყოვლისა ამერიკელებათ მოაქვთ თავი და შეერთებულ შტატებში ისე გრძნობენ თავს, როგორც სახლში. ეს ბევრათ ამარტივებს კომუნისტების ამოცანას.

### როგორ უნდა მოუდგენ ზანგებს კომუნისტები.

ამერიკელ კომუნისტების ერთად ერთი სწორი პოლიტიკა ზანგების მიმართ მდგომარეობს იმაში, რომ იხილავენ მათ, უპირველეს ყოვლისა, როგორც მუშები. სამხრეთის სასოფლო-სამეურნეო მუშები და წვრილი ფერმერები წარმოადგენენ ისეთივე ამოცანას, როგორც სას. სამეურნეო თეთრი მუშები, თუმცა ლა ზანგები ძალიან ჩამორჩენილებია. ჩრდილოეთის სამრეწ. ზანგ მუშებში შეიძლება კომუნისტური პროპაგან. წარმოება ქვეყნის ორივე ნაწილებში უნდა ვისწრაფოდეთ ზანგების თეთრებთან ერთად მთლიან მუშათა კავშირებში შეკავშირებისაკენ—ეს საუკეთესო და მეტად სწრაფი საშუალებაა რასიულ სულის კვეთების მოსასპობათ და კლასიურ სოლიდარობის განსავითარებლათ.

(შემდეგი იქნება).

# ბიულეტენი პრესბიუროსი

რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

**ს. რ. ც. ა. კ. გადაწყვეტილება.**

მოსკოვი, 25 სექტემბერი. ს. რ. ც. აღ. კ. მიერ პოლონეთისადმი ზავის ახალი პირობების წარდგენის გამო „პრავდა" სწერს: „საბჭოთა რუსეთს სურს კიდევ დათმობების საფასურით ზავს

...ბალწოის. მიიღებენ თუ არა პოლონეთის თავად-აზნაურული რესპუბლიკის ...ეთრ გვარდიელები ამ წინადადებას? ...უ მიიღეს და ზავი ჩამოვარდა, ჩვენ ...მ ზამთარში არ გვექნება ომი. პოლონეთის ჯარებში ღრმა უკმაყოფილება ...წიფდება მმართველ წრეების მიმართ. ...ს აშკარაა. სჩანს ბ. პილსუდსკის ერთ...რთ ბრძანებაში, სადაც ის მოუწოდებს ...არებს—ბოლო მოეღოს გათიშვას და ...ტრობას, რომელიც არსებობს ჯარის ...აცებსა და მოხალისეებს შორის. უკანასკნელებს ისე უყურებენ, ჯარის კაცები, როგორც მიზეზს და იმპერიალისტურ ...ტაცებლურ მისწრაფებების გამომ...ატველთ ამიტომ მათ ებრძვიან. მეორე ...ხრით ანტანტის სურვილიც მოქმედობს პოლონეთზე; ანტანტის მთავრობამ გადაწყვიტა ერთხელ კიდევ გაილაშქროს ...არალით ხელში რუსეთის მუშებისა და ...ლეხების წინააღმდეგ. პოლონეთს დიდ ...მედს ჰგვრის ის, რომ მისი ჯარების ...რივე ფრთა-პოლონეთის და ვრანგელის—ერთმანეთს საბჭოთა რუსეთზე ...ანუწყვეტელი თავდასხმით მხარს უჭერ...ენ. დროებითი გამარჯვებით პოლონეთი მთვრალია და შიგნით რევოლიუ...ციის პირობების მომწიფებით ძირ მომპალია.

შესაძლებელია, რომ პოლონეთის ...ეთრ გვარდიელებმა ჩვენ ისევ უარით ...ვიპასუხონ. მაშინ ყველა რუს მუშას, ...ლეხს, წითელ არმიელს ნათლათ ...ცოდინება, რაკი პანები ასეთ პირო...ებს უარს ჰყოფენ, ეს ნიშნავს იმას, რომ მათ უნდათ ჩვენი ცოცხლათ ...ეჭმა, რომ ჩვენ მეტი გამოსავალი არ დაგვრჩენია, გარდა გააფთრებული ბრძოლისა თავხედ მოძალადის წინააღმდეგ. ...აგრამ სხვა ქვეყნის მუშებიც, პოლონელები, ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები დაინახავენ პოლონეთის იმპერიალიზმის საზიზღარ მხეცურ სახეს. აი ...სეთ პირობებში ჩვენზე მოხვეული ომი ...რ შეიძლება ჩვენი გამრჯვებით არ გათავდეს.

ჩვენ ერთხელ კიდევ ვუწვდით ზავისთვის ხელს. ჩვენ დათმობაზე ერთხელ კიდევ მივდივართ და კიდევ თუ უარს ...ივიღებთ, საბჭოთა მხარე თავის მინდვრებში, ქალაქებში, მთელს თავის ...ვალუწვდენელ სივრცეზე მრისხანე ძალას შეჰკრებს და გასრესს და გაანადგურებს შემოსეულ ყაჩაღებს.

## უკანასკნელი ცნობები

25 სექტემბერი.

**საბჭ. ოპერატ. რადიო ცნობა რესპუბლიკის „რევოლუციის სამხედრო საბჭოს" საველე შტაბისა.**

გროდნოს რაიონში შეტევაზე გადმოსულ მოწინააღმდეგესთან ბრძოლები გაჩაღდა.

ვოლკოვისკის რაიონში ცვალებადი ხასიათის ბრძოლები სწარმოებს.

პრუჟანსკის და ბობრინსკის რაიონებში სასტიკი ბრძოლები სწარმოებს. ჩვენ ტყვეები წამოვიყვანეთ.

სტარო-კონსტანტინოვის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა ქ. იზიასლავი დასტოვეს და სად. შეპეტოვის სამხრეთით ათ ვერსზე იბრძვიან.

პროსკუროვის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა პროსკუროვის დასავლეთით 20 ვერსზე დაიხია.

გუსიატინის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა ბრძოლით რამოდენიმე სოფელი აიღო. ჩვენი შეტევა გრძელდება.

**ამხ. კლარა ცეტკინი მოსკოვში**

**მოსკოვი, 24 სექტ.** წითელმა მოსკოვმა გერმანიის რევოლიუციონურ მუშების წარმომადგენელი კლარა ცეტკინი ზეიმით მიიღო. გერმანელ სტუმარს სადგურზე შეხვდენ მოსკოვის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლები, რუსეთის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენლები და მოსკოვის მუშა ქალები. კლარა ცეტკინს, კარლ ლიბკნეხტის და როზა ლიუქსენბურგის მეგობარს მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა.

კლარა ცეტკინი რუსეთის კომუნისტურ პარტიის სრულიათ რუსეთის ყრილობას დაესწრო. მას განზრახული აქვს აგრეთვე რაიონულ მუშათა კრებას დაესწროს.

**პოლონეთთან მოლაპარაკება**

**მოსკოვი, 24 სექ.** პოლონეთის გაზეთები სავსეა რუსეთთან საზავო მოლაპარაკების დაწყების შესახებ. თითქმის ყველა ზავის მოსურნეა. მაგრამ, სამწუხაროთ, მათი სიწრფელე ძნელად დასაჯერებელია. შიგა და შიგ გამოსჭვივის ფრაზები, რომლებიდანაც სჩანს, რომ თვით პოლონელებსაც არ სწამთ რუსეთთან ხანგრძლივი მშვიდობიანობა.

**პოლონეთში.**

**მოსკოვი.** 24 სექტემბერი. ამ ჟამათ პოლონეთის მდგომარეობა უნუგეშოა. დასავლეთიდან სანოვაგის მიღების იმედი ჰქრება, ვაჭრობა და მრეწველობა შეჩერებულია. მთელი ხალხი არაქათ გამოლეულია და ზავს ელის. მაგრამ მთავრობა თავის ხრიკებს განაგრძობს და ქვეყნის კატასტროფიულ მდგომარეობას ანგარიშს არ უწევს.

**ზავის ახალი პირობები პოლონეთში**

**მოსკოვი,** 25 სექტემბერი. სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა წინადადება მისცა რუსეთის დელეგაციას გამოაცხადოს რიგაში კონფერენციაზე ზავის ახალი პირობები: საბჭოთა მთავრობა უარს ამბობს პოლონეთის ჯარების რაოდენობის შემცირებას მოთხოვნაზე, სამხედრო მრეწველობის გაუქმებაზე და განიარაღებაზე. აგრეთვე უარს აცხადებს სამხრეთ გალიციაზე. პასუხის ვადა ათი დღეა დანიშნული.

**კომუნისტების გამარჯვება იტალიაში.**

**მოსკოვი,** 25 სექტ. ტურინში კომუნისტ-მუშებმა ქალ. თვითმართველობის ბინა და სხვა საზოგ. სახლები დაიკავეს. ტურინთან კავშირი შეწყვეტილია. ხმებია, რომ იქ ქუჩებში ბრძოლებია.

## გომონში[1]

Samenti sat. 2)

ჩინგის ხანის დროს დანგრეულ კოშკს გავს დღეს ბომონი:
დანგრეულ კედლებს შორის ძრწიან აჩრდილნი კერპთა,—
ვირთხების ორკესტრს მოისმენენ განწირულები,
ელიან აჩრდილს ზევსისას—ღმერთის ღმერთებთა.
როს ნანგრევებზე გამოჩნდება მისი აჩრდილი,
უდაბნო ბომონს დაეტყობა გამოცოცხლება.—
აჩრდილნი ბჭობას გამართავენ ვითარებაზე,
პოსეიდონი მოწიწებით წინ წამოდგება:
—ზევსს! გვასმინე ჩვენ, ღმერთებსა ვინ გაგვწყრომია?
ვინ უნდა იყოს ჩვენი მტერი ძლიერი ჩვენზე?
მე, ზღვისა მეფეს ზღვა არ მისმენს, ზღვა მეურჩება,
ღელავს და შფოთავს, არ მაცურებს თავის ზვირთებზე.
ზევსს! გვასმინე ჩვენ, ღმერთებსა ვინ გაგვწყრომია?
მე, ჰერკულესი, გმირთა გმირი, დღეს კი უძლური,
ჩაგრულთ მფარველი რათა ვძულვარ ღარიბ—ჩაგრულთა?
დღეს იმათდამი გულს მიღვივის მტრობა და შური!
—ზევსს! გვასმინე ჩვენ, ღმერთებსა ვინ გაგვწყრომია?
მე, აფროდიტა, 3) ხომ ღმერთი ვარ სიყვარულისა?
ამვლელ-ჩამვლელნი რათ მწყევიან და მაფურთხებენ?
რა დავაშავე იმათ მტრობა-სიძულვილისა?
—ზევსს! გვასმინე, მე ჰასტი ვარ, ღმერთი ცეცხლისა!
ჩემ ბრძანებაზე ცეცხლი ქრება და აღარ ღვივის!
—ზევს! ასმინე ღმერთებს რამე, ჰერა ვარ შენი!
ვის გაუბედავს თავხედობით შებედვა ჩვენთვის?
—ზევსს, გვასმინე! ზევს, გვითხარ! ზევს, პასუხი!
ვის შეუბედავს ჩვენთვის წყრომა და ხვალ რა გველის?
—სსსს! სმენა ზევსს!
—ჩვენ დავიღუპეთ! ჩვენ დავიღუპეთ!
ბედი მოგველის, შავი ბედი ხვრელში მძრომ გველის!
—ხვრელში მძრომ გველის!! შავი ბედი ხვრელში მძრომ გველის!!
—მაშ, თუ ასეა მე არმაზი 4) მტრებს არ დავუთმობ!
ჰეი, არესი, ომის ღმერთო, ხელი ხმალს იკარ,
ჩემს გარს შემოკრებით, წამომყევით, მტერს გულს გაუპობ!
—ტყუილი ცდაა! ხმალი ქარქაშს აღარ ცილდება!
—ხმალი ქარქაშს აღარ ცილდება! ვაი ჩვენ ყოფას!.
—მაშ, თუ ასე—ვირთხებო! ვალსი, ჩქარა ვალსი!
გულში ჩავეკრათ აფროდიტას, ჩვენს აფროდიტას.

**ხანდრო ეული.**

1) კერპთა ტაძარი.
2) ჭკვიანი მიხვდება.
3) სიყვარულის ღმერთი, ბოლოს გარყვნილების კერპათ ქცეული.
4) ქართველების ღმერთი.

## განცხადება.

19 სექტემბრის გაზ. „ერთობის" 213 №-ში მოთავსებულია ვიღაც დეპოს მუშების გაბო ჯალალაშვილის და ესტატე მანჯგალაძის აღსარება, რომ ისინი თავს ანებებენ კომუნისტურ პარტიას და აქვთ „დიდი სურვილი მენშევიკების სოც.-დემოკრ. პარტიაში" შესვლის.

როგორც სიების გადათვალიერებიდან, აგრეთვე დეპოელ ამხ. კომუნისტებთან შეკითხვიდან გამოირკვა, რომ გ. ჯალალაშვილი არც ახლა და არც წინედაც არასოდეს კომუნისტური პარტიის წევრი არ ყოფილა, ხოლო ესტ. მანჯგალაძე ირიცხებოდა წევრათ რამდენიმე თვე 1917 წელს. შემდეგ გაძევებულ იქნა ორგანიზაციის მიერ, როგორც სუსტი რწმენის და პარტიისათვის სრულიათ უსარგებლო.

**საქ. კომუნისტ. პარტიის თბილისის პირველ რაიონის ბიურო.**

## სხვა და სხვა ამბები

(საბჭოთა რუსეთში)

**უფასო სადილები მშრომელთათვის**

თანახმათ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა, პეტროგრადის კომუნის მართველობა შეუდგა პეტროგრადის დაწესებულებებში მოსამსახურეთათვის უფასო სასადილოების მოწყობას. წინდაწინ გამოანგარიშებით უფასო სადილს მიიღებს დაახლოვებით 400 ათასი კაცი. ამის გამო პეტერბურგში კომუნალურ სასადილოებში თითქმის უნდა გაორკეცდეს მუშაობა, ვინაიდან სადილი იქნება ორი კერძისგან. წინდაწინ ტეხნიკურ მოუწყობლობის გამო, პეტროკომუნის მმართველობამ სასადილოებში მუშაობის გასაძლიერებლათ გამოიმუშავა შემდეგი გეგმა: სამზარეულოში შემოიღოს ორი „სმენა". განზრახულია ადგილობრივ სადილის მიცემა მხოლოდ ბავშთა სასადილოებში, დანარჩენებიდან სახლში გაატანებენ.

**კავკასიის ფრონტის არმიის მეზღვაურებს.**

**ამხანაგებო წითელ—მეზღვაურებო!**

სამი წლის წინათ, ოქტომბრის რევოლიუციის დიად დღეებში, როდესაც რევოლიუციონური პროლეტარიატი ამხედრდა კაპიტალისტებისა და გენერლების ხროვის წინააღმდეგ, თქვენ დატოვეთ თქვენი გემები, საზღვაო ნაწილები და პირველად გამოდით შრომისა და კაპიტალის შორის ბრძოლის ასპარეზზე; თქვენ, ბრძოლებში გამობრძმედილებმა ჩაუყარეთ მტკიცე საფუძველი გმირულ წითელ არმიას და იბრძოდით მისი რიგებში ყველა ფრონტებზე.

აწ საკმაოდ ძლიერია მილიონიანი, სამაგალითო დისციპლინით აღჭურვილი მუშურ-გლეხური წითელი არმია, და თქვენ, დაბოლოს, გაქვთ საშვალება დაუბრუნდეთ მშობლიურ სტიქიონს—გემებს, საზღვაო ნაწილებს, რათა განაგრძოთ თქვენ მიერვე დაწყებული დიადი ბრძოლა რევოლიუციისათვის.

## რა არის პროლეტარული პოეზია?

I.

პროლეტარული პოეზია არის, პირველ ყოვლისა, **პოეზია**, ერთგვარი **ხელოვნება**. არაა პოეზია იქ, როგორც არაა საზოგადოთ ხელოვნება, სადაც არ არის **ცოცხალი სახეები.**

მაგალითათ, რომ ავიღოთ რიცხვთა გამრავლება ან ფიზიკის რომელიმე კანონი და ლექსათ გამოვთქვათ, ეს პოეზია არ იქნება, რადგან განყენებული ცნობანი არ წარმოადგენენ ცოცხალ სახეებს.

არ არის პოეზია, როგორც საზოგადოთ არაა ხელოვნება იქ, სადაც არ არის შეერთებულ სახეების **მწყობრობა**, სადაც არ არის მათ შორის იმგვარი კავშირი, რასაც შენება ეწოდება.

მაგალითათ, თუ დახატული ნაკვთები არ არის შეკავშირებული ერთმანეთთან საერთო სქემით, ან თუ მათ შორის სუფევს უწესრიგობა, მაშინ ეს სურათი აღარ იქნება, აღარ იქნება მხატვრობა.

ერთ გაზეთში დაიბეჭდა ლექსი, რომელიც ასე იწყებოდა:

„ჩვენ გვინდა ომი! ომი გამარჯვებამდის"! გაიძახიან უძირო ჯიბეები ვაჭრის. სისხლში დაღუპულთა არ აქვთ საქმე იმათ, ოღონდ ომით დარჩენ მოგებულნი—მსუქნათ. მწარმოებლები კი, სავსე ჯიბეებით, მუშებს სისხლსა სწოვენ მოტყუილებით და სხვა.

რედაქციის მხრივ დანაშაულობათ უნდა ჩაითვალოს ასეთი ლექსის დაბეჭდვა, დანაშაულობათ, როგორც მკითხველების, ისე თვით ავტორის წინაშე, რომელიმე წრფელი და პატიოსანი მუშის, რომელმაც არ იცოდა, თუ რა არის პოეზია.

აქ მოყვანილ ლექსში სრულებით არ არის ცოცხალი სახეები. („ოღონდ ომით დარჩენ მოგებულნი—მსუქნათ". „მწარმოებლები კი, სავსე ჯიბეებით, მუშებს სისხლსა სწოვენ მოტყუილებით"). ეს, თითქოს მხატვრობის წინააღმდეგ სპეციალურათ დაწერილი ნიმუშის გამოხატულებაა.

უნდა იცოდეთ და გახსოვდეთ:

ხელოვნება საზოგადოთ არის ცოცხალ სახეების მწყობრობა, ხოლო პოეზია კერძოთ ცოცხალ სახეების სიტყვიერ ფორმაში ჩამოსხმული მწყობრობაა.

პოეზიაც მაშინ გაჩნდა, როცა ადამიანმა სიტყვის გამოთქმა დაიწყო.

ის გმინვა-ძახილი, რომელიც მუშაობის დროს პირველ ყოფილ ადამიანს თავის და უნებურათ ამოხეთქავდა გულის სიღრმიდან, სიტყვის დასაწყისათ უნდა ჩაითვალოს.

ის გმინვა-ძახილი სრულიათ ბუნებრივი და ყველასათვის გასაგები გამომსახველი რჩებოდა იმ მოქმედებისა, რომელიც იყო მისი წარმომშობი. შემდეგ კი ის შრომის სიმღერის დასაწყისი შეიქნა.

და ეს შრომის სიმღერა უბრალო გამმართოებელი და დროს გამტარებელი კი არ იყო, არამედ ის საერთო შრომაში მუშათა ძალ-ღონეს ჰკრებდა, აერთებდა და აძლევდა მას მწყობრობას და რითმიანობას. მაშასადამე ის იყო კოლექტიურ ძალ ღონის შემოქმედი საშუალება. ასეთი მნიშვნელობა აქვს დღესაც მას უმთავრესათ მხედრულ სიმღერაში, რომელიც შრომის სიმღერაზე უფრო გვიან განვითარდა. მისი საორგანიზაციო მნიშვნელობა სულ სხვა სახეს ღებულობს.

ის ომის წინ იმღერებოდა, რათა მისთვის შეექმნა საერთო სულიერი განწყობილება, კოლექტიური გრძნობის კავშირი, რომელიც ომის დროს ერთსულოვნების და მწყობრი მოქმედების უმთავრესი პირობაა.

ეს ასე ვთქვათ კოლექტივის ძალების წინასწარი ორგანიზაციაა, რომ წინათ დასახული მიზნის მიღწევის სიძნელე დაძლეულ იქნას.

პოეზიის მეორე ძირი—ეს არის ზღაპარი თქმულება მითი, რომელიც საზოგადოთ ცოდნის დასაწყისათ უნდა ჩაითვალოს.

თავდაპირველათ სიტყვა გამოხატავდა ადამიანის მოქმედებას. მხოლოთ ამ სიტყვებით იყო შესაძლო ადამიანებს ეცნობებიათ ერთი-მეორესათვის გარეშე ბუნების მოქმედება მოვლენათა და მის სტიქიურ ძალთა შესახები რამ.

ამნაირათ ყველაფერში, ელემენტარულ მოთხრობაში და აღწერაშიაც კი ბუნება კაცობრივდებოდა. რაზედაც არ უნდა თქმულიყო რამ, იქნებოდა ის ცხოველი, ხე, მზე ან მთოვარე, მდინარე თუ რა, ყველგან გამოდიოდა ისე თითქოს საქმე ადამიანს ეხებოდა.

მაგალითათ, მზე ცაზე, „მიდის", დილას „დგება", საღამოს მიდის „დასაძინებლათ", ზამთრობით „ავათმყოფობს" გაზაფხულზე „მოიკეთებს" და სხვა.

შემეცნების ასეთ გადატანას კაცობრივიდან სტიქიურზე ეწოდება „ძირითადი მეტაფორა". უიმისოთ კი აზროვნებას არ შეეძლო მუშაობა დაეწყო—ადამიანის გარეშე არსებულ ბუნებაზე და არც თვით შემეცნებას შეეძლო შექმნილიყო.

უფრო მოგვიანებით კი აზროვნებამ იწყო შემჩნევა-შეთვისება თავისა და გარეშე ბუნების შორის განსხვავების და ამ გზით თავისუფლდებოდა ძირითად მეტაფორისაგან, განსაკუთრებით მის შემდეგ, როცა საგნების სახლები გამომუშავდა. თუმცა სავსებით ეხლაც კი არ განთავისუფლებულა მისგან. მაგალ. სიტყვა „სოფელი" ერთი ამ დარჩენილი მეტაფორული სიტყვათაგანია, რაც ნიშნავს თემს, ე. ი. ადამიანთა კოლექტივს. პოეზიაში ძირითად მეტაფორას დიდი როლი ქონდა და დღესაც აქვს.

ბუნების გაკაცობრივება—მთავარი საშუალებაა პოეტურ შემოქმედებისა.

თავდაპირველად არაკში არავითარი გამოგონება არ იყო.

როდესაც მამა გადასცემდა შვილებს, თვითონ რაც იცოდა გამოცდილებით მაგ. მზის ცვალებადობაზე წლიურ ალ რიცხვაში, ეს პირველ-ყოფილი ასტრონომიული ლექცია უსათუოდ ღებულობდა მოთხრობის სახეს ძლიერი და კეთილი ადამიანის თავგადასავალის შესახებ, რაც მისდამი მტრულად განწყობილ ძალებთან ბრძოლის დროს იხატებოდა და რაც მდგომარეობდა იმაში, რომ ეს ძალები ხან მარცხდებოდენ მის წინაშე და ხან თვითონ მას (ადამიანს) ამარცხებდენ.

აქედან შემდეგ ვითარდებოდა რომელიმე პოეტური გადმოცემა. მაგალითათ ბაბილონელებს გმირ ვილგამეშზე, ბერძნებს გერაკლისზე და სხვა.

თუ ვინმე აცნობდა თავისზე უფრო ნაკლებ გამოცდილს შესახებ იმისა, რომ მკვდრებს ზიანი მოაქვთ ცოცხლებისთვის მით, რომ ქმნიან ავადმყოფობას, რომელიც დაასუსტებს ადამიანს და შემდეგ კი სულსაც გაუფრთხობს, ასეთი რამ ცნობა შემდეგ მოთხრობა ხდებოდა ბოროტ მკვდრების შესახებ, რომ ეს მკვდრები ცოცხლებს მტრობენ; ბოლოს და ბოლოს ამგვარი ამბავი აფთრებზე, მდევებზე, ვეშაპებზე და სხვა ასეთებზე თქმულებათ იქცეოდა ხოლმე.

იმ დროს ეს ერთათ-ერთი შესაძლებელი ფორმა იყო საზოგადოებაში ცოდნის გავრცელებისათვის.

პოეზია, პროზა და მეცნიერება, ყველა ეს მაშინ ერთ საშიში—ზღაპარ-არაკში და გადმოცემაში იყო თავმოყრილი, რომლის აზრი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა შესაძლებელია ნათლათ წარმოვიდგინოთ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ის ერთათ-ერთი იარაღი იყო ხალხის სოციალურ ცხოვრების ორგანიზაციისათვის. რათ იყო საჭირო შეკრება და გადაცემა ახალთაობისათვის მამაპაპათა ცოდნისა თვით ხალხის, ცხოვრების და ბუნების შესახებ? ეს იმისთვის, რომ ამ ცოდნის საფუძველზე ხალხის პრაქტიკული საქმიანობა—გამჰრიახობის ორგანიზაცია შეიქმნას. არაკი გადმოცემა მზის შესახებ—დროთა ცვალებადობის აღწერა საჭირო დარიგებას იძლევოდა მიწის მუშათა სამუშაობის ცხრილისთვის, აგრეთვე ნადირობისათვის, მეთევზეობისათვის და ყველა იმისთვის, რომლის ორგანიზაცია დამოკიდებულია დროთა შერჩევაზე და სეზონზე. ასევე საჭირო და აუცილებელ რჩევას იძლევოდა ზღაპარ-გადმოცემა მკვდრების შესახებ, რომლის გამო გიგიენური საშვალებებს ხმარობდენ მიცვალებულთა გვამების დასაკრძალავათ. მაგ. მათ მიწაში ღრმათ ჩამარხავდენ და ამასთანავე ბინებზე მოშორებით.

პრიმიტიული, პოეტური ცოდნა მაშინდელ დროს დიდ ორგანიზაციულ როლს ასრულებდა პრაქტიკულ ცხოვრებაში, ის, როგორც ეხლანდელი მეცნიერება თანამედროვე წარმოებაში.

**ა. ბოგდანოვი**

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

### წინ ზღვის ტიტანებო, წინ, თქვენს გემებზე!

თქვენსა და მთელი მუშურ-გლეხური რესპუბლიკის წინ წამოჭრილია ვეებერთელა მნიშვნელობის ახალი ამოცანა, რომელიც მცირე გადადებას არ ითმენს; —ესაა შავ ზღვაზე წითელი ფლოტის შექმნა.

მანამ, სანამ კონტრ-რევოლიუციის—ნაშთის-ბარონ ვრანგელის ზღვის მეკობრეები სცარცვავენ საბჭოთა უკრაინის საზღვრებს.—საბჭოთა ძალაუფლება კავკასიაში, უკრაინაში, ველიკოროსიაში არაა უზრუნველყოფილი, შეუძლებელია ახალ მშვიდობიან აღმშენებლობითი ცხოვრება და განადგურებულ წარმოების აღდგენა.

**საბოლაოდ ვრანგელის განადგურება მხოლოდ წითელ ფლოტის შემწეობით შეიძლება**

წითელო მეზღვაურებო!

მუშებთან და გლეხებთან ერთად თქვენ შეჰქმენით წითელი არმია. აწ შექმენით წითელი ფლოტი, ისეთივე ძლიერი და ძლევა მოსილი, როგორიცაა წითელი არმია.

ერთი მოქნევით თქვენ დაამსხვრევთ ვრანგელის ბანდების თეთრ-გვარდიელთა ფლოტს და შავ ზღვას საბჭოთა ზღვათ გადააქცევთ.

და ასე წინ, ზღვის ტიტანებო, წინ თქვენს გემებზე!

დეე, მეკობრეების შავი ზღვა იქნეს საერთაშორისო რევოლიუციის ჩირაღდანი, დე მისი მებრძოლვარე ტალღებმა გაიტანოს წითელი დროშები სამყაროს ყველა ზღვებსა და ოკეანებზე!

გაუმარჯოს წითელ შავი ზღვის ფლოტს!

გაუმარჯოს შავი ზღვის წითელ მეზღვაურებს.

შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირის—გამაგრებულ რაიონის ბაზის კომისარი

დანუკალო.

# პარტიული ცხოვრება.

### გურიის კომიტეტის სხდომა.

10 სექტემბერს სოფ. ზომლეთში შედგა გურიის კომიტეტის მორიგი სხდომა. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენებები, 2) პარტიული მუშაობა, 3) დაშნაკელების ვერაგობის შესახებ, 4) ჩვენი ლეგალიზაცია, 5) ივლისის ანგარიშის განხილვა, 6) რაიონულ ბიუროების ფინანსიური დახმარება, 7) პროფესიონალების რიცხვის გადიდება, 8) სარევიზიო კომისიის არჩევა.

კრებას დაესწრო კომიტეტის სრული შემადგენლობა.

კრება ჯერ არც კი იყო გახსნილი, რომ ბინაზე მოიჭრა 4 შეიარაღებული მილიციონერი ჰანჭათის თემის კომისარის მიერ გამოგზავნილი.

ბინის გაჩხრეკის შემდეგ წაიყვანეს 4 ამხანაგი, ვითომ და თემის გამგეობასთან მოსალაპარაკებლათ. მილიციონერებთან არ გასჭრა მტკიცებამ, რომ ჩვენ უფლება გვაქვს შეკრების, ლეგალურათ მუშაობის და სხვა.

ამხანაგები აღარ დაბრუნებულან, ისინი დაატყვევეს და მეორე დილით ოზურგეთში გაგზავნეს. დატყვევებულნი არიან: 1) სოლომონ დოლიძე, 2) ილიკო ურუშაძე, 3) იაგორ კალანდაძე და 4) გოგოტიშვილი (ნატანების რაიონიდან). ამათთვის ოქმი შეუყენებია მღვდელს ლავრენტი წულაძეს.

მენშევიკების სამეფოში მღვდლები და სპეკულიანტ-ვაჭრუკები ბატონობენ,—ეს ძველია და არა ახალი, მაგრამ მაინც ადამიანს გული ბოლომდე გევსება, როცა სოციალ-გამცემლების წყალობით დღეს ჩვენს ცხოვრებას კლოუნი ღვდლები, სპეკულიანტები და ვიგინდარა გამცემლ-გამოვლელნი და ხალხის ნამდვილი მტრები დაპატრონებიან.

კრებამ გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია ჰანჭათის ადმინისტრაციის ძალადობის და უხეში მოქმედების გამო, რაიცა გამოიხატა ოთხი ამხანაგის უმიზეზოთ დატყვევებაში და შეუდგა დღიური წესრიგის განხილვას.

პირველათ კრებამ მოისმინა პრეზიდიუმის მოხსენება.

სხვა და სხვა მოვალეობათა ასრულების გარდა პრეზიდიუმს აგვისტოს განმავლობაში მოუხდენია რევიზია მთელ გურიაში ადგილობრივათ პარტიული მუშაობისა და ორგანიზაციების მტკიცე არსებობის მდგომარეობათა გამოსარკვევათ. პრეზიდიუმს პირნათლათ შეუსრულებია ეს როლი, გაუკეთებია თავისი დასკვნა, რომლის შესახებაც მოხსენდა კომიტეტს და რაიცა შეტანილ იქმნა ცალკე საერთო ოქმში.

საერთოთ დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა აგრეთვე მოხსენებები ადგილებიდანაც.

პარტიული მუშაობის შესახებ ძალაში რჩება კომიტეტის დადგენილება 3 აგვისტოს სხდომაზე.

მესამე კითხვის შესახებ (სომხეთში კომუნისტების დახვრეტა) კრებამ გამოიტანა საპროტესტო რეზოლიუცია, რაიცა გურიის კომიტეტის სახელით ცალკე იქნა დაბეჭდილი გაზეთში.

მეხუთე კითხვა იყო ივლისის ანგარიშის დამტკიცება. კრებამ განიხილა ხსენებული თვის შემოსავალ-გასავლის საბუთები და დაამტკიცა იგი უცვლელათ.

მეექვსე კითხვა (ფინანსიური დახმარება რაიონულ ბიუროებს) ჯერ-ჯერობით დატოვებულ იქნა ღიათ.

მეშვიდე კითხვა ეხებოდა გურიაში პროფესიონალების მომატებას. კრებამ იქონია ამ კითხვის შესახებ მსჯელობა და აუცილებელ საჭიროებათ სცნო მოემატოს გურიის ორგანიზაციას კიდევ ორი პროფესიონალი. ამას გარდა პრეზიდიუმს უფლება ეძლევა იყოლიოს ზოგიერთ რაიონებში აგრეთ წოდებული ქვე პროფესიონალები. დასასრულ არჩეულ იქნა სამი პირისაგან შემდგარი სარევიზიო კომისია.

შეუდრეკელი.

---

### აზერბეიჯანის მისიაში მოსამსახურეთა რეზოლიუცია

აზერბეიჯანის მისიაში მოსამსახურეთა კომ.-იაჩეიკის საერთო კრებამ მოისმინა რა მოხსენება იმ დაუსრულებელ სიმხეცეზე შესახებ, რომელსაც ჩადიან დაშნაკელები ხალხის თავისუფლების სახელით, რაიცა გამოხატა კომუნისტების დახვრეტაში, გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

— გამოვსთქვამთ ჩვენს ღრმეს აღშფოთებას და პროტესტს უზნეოტორული მთავრობის, ხალხის თავისუფლებისა მჯიჯგნელ—დაშნაკელების, წინააღმდეგ რომელნიც, რამდენიმე თვის განმავლობაში სტანჯავდნენ ჩვენს ამხანაგებს და მერმეთ სამარცხვინოთ ხვრეტდენ. რევოლიუციისთვის წამებულთა ხსოვნა სამუდამოთ დარჩება ჩვენს გულში.

ზიზღი ჯალათებს..

ჩვენ ამხანაგებს მიერ დაწყებული მუშაობა დროებით შეჩერდება. სახელოვანი სიკვდილი ამხანაგებისა უფრო აგვამხედრებს ჩვენა და გაძლიერებული ენერგიით განვაგრძნობთ განმანთავისუფლებელ მუშაობას სომხეთის მშრომელი ხალხის გასანთავისუფლებლათ დაშნაკელების კლანჭებისგან.

ძირს მუქთა ხორები და გამყიდველები მშრომელი სომხეთისა!

გაუმარჯოს საბჭოთა სასომხეთოს!

კომ. იაჩეიკის ბიურო

თბილისი 7 სეკტემბერი

# მუშათა ცხოვრება.

ჩვენში.

### ფ. ტ. მოსამსახურეთა ცხოვრებიდან.

15 ენკენისთვეს შესდგა ქუთაისის ფ. ტ. და ტელეფონის მუშა მოსამსახურეთა საზოგადო კრება.

დღის წესრიგში იყო 1) პურის საკითხი 2) მესამე ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევა და სხვა..

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა გამგეობის სახელით კ. ჭელიშვილმა (მენშევიკია) და აღუთქვა მოსამსახურეებს, რომ გამგეობა ღებულობს ზომებს რათა მიეცეს მოსამსახურეებს სულზე 44 მან. იმ დღეების ღანაკლისი პურის ფული, რომელ დღეებშიდაც მაგიდას პური არ მოუწოდებია. და თუ მოგვაწოდა, მხოლოდ ნახევარი გირვანქა. ყრილობაზე წასულმა დელეგატებმა უსათუოდ უნდა ჩამოიტანონ ფეხსაცმელები და ტანისამოსი მოსამსახურეებისათვის. დიდი მადლობის ღირსი იქნებით ბ. ჭელიშვილო თქვენ მხოლოდ მაშინ, როდესაც თქვენ მიერ წარმოთქმულ სიტყვებს შეასრულებთ, დანაპირებებს ფულს და ფეხსაცმელებს დაგვირიგებ თუ არ მოგვცენ იბრძოლებ კიდეც და იხმარ ყოველივე ბრძოლის საშვალებებს თქვენი დანაპირების შესრულებისათვის.

მაგრამ მე კი გეტყოდით, რომ თქვენ ამას ვერ შესძლებთ და ნუ დაგვპირდებით იმას, რისი შესრულებაც თქვენ არ შეგიძლიათ. ეს თქვენი დემაგოგია იყო თქვენთვის საჭირო მხოლოდ არჩევნების წინ, თორემ რატომ აქამდის არ გაღობდით ასე ბ. ჭელიშვილო? მე გეტყვით, იმიტომ, რომ ვერ შეასრულებდი და შეუსრულებლობის გამო ხომ ისედაც დაკარგული თქვენდამი ნდობა მოსამსახურეების, ხომ მთლად დაიკარგებოდა, და ხმას ველარ მიიღებდი.

ვინც უნდა წავიდეს თქვენ ერთი მაინც გახვალთ არჩევნებში და იმედი გვაქვს თუ სხვებს დავავიწყდით თქვენ მაინც ბ. ჭელიშვილო არ დაგავიწყდებათ „ფეხსაცმელები და ტანისამოსი“ და ჩამოგვიტან, თორემ რომ აღარ ჩამოხვიდე ქუთაისში კი სჯობია. თუ კი რაიმე პატიოსნება და ამხანაგური სირცხვილის უნარი გაქვთ.

დამსწრე მუშა.

საზღვარ-გარეთ.

### მუშათა გამარჯვება.

ქალ. ცატაუ (სამხრეთ-აღმოსავლეთ გერმანიაში), აჯანყებულ მუშების ხელშია. მთავრობამ და მისმა ჯარებმა ქალაქი დასტოვეს. დაარსდა დამოუკიდებლებისა და კომუნისტებისაგან შემდგარი აღმასრულებელი კომიტეტი, რომელმაც ძალა-უფლება თავის ხელში აიღო.

### მუშებმა მოთხოვნილებებმა წაუყენეს.

ინგლისის გაზეთები იტყობინებიან, რომ, იმ შემთხვევაში, თუ ინგლისის მთავრობამ მთა მადნებზე მომუშავეთა მოთხოვნილება დღიურ ხელფასის გადიდების შესახებ არ დააკმაყოფილებს,— ეს გაფიცვებს გამოიწვევსო.

### გაფიცვები.

გერმანიის გაზეთები იტყობინება, რომ პოზნანში რევოლიუციონურ ნიადაგზე გაფიცვები დაწყებულა.

### მუშათა ბელადის დატუსაღება.

ქ. მიუნხენში (სამხ. გერმანიაში) დაატუსაღეს დამოუკიდებელ სოციალისტების ბელადი ლინინგი, არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ და საყოველთაო გაფიცვების მოწოდებისათვის. მას მისჯილი აქვს ერთი წლის ციხე და ხუთი წლით უფლებების აყრა.

### გერმანიის მთა-მადნებზე მომუშავეთა ყრილობა.

რურის ოლქში მთა მადნებზე მომუშავეთა ყრილობამ სამუშაო დღის გაგრძელების წინააღმდეგ გაილაშქრა, მოითხოვა სამთა-მადნო წარმოების სოციალიზაცია და მიიღო რუსეთის პროლეტარიატისადმი თანაგრძნობის რეზოლიუცია.

### არ უშვებენ იარაღს პოლონეთში.

შვეციის პროფესიონალურ კავშირთა პროპაგანდის ლიგამ წინადადება მისცა შეკავშირებულ მუშებს ბოიკოტი გაუკეთონ ყველა ტრანსპორტებს, რომლებიც დატვირთული იქნება იარაღებით პოლონეთისათვის.

### თვალყური ადევნეთ სასტიკათ.

საქსონიის რკინის გზელთა საბჭოს მიერ გამოქვეყნებულია მოწოდება ყველა მუშებისადმი, რაიც ეჭვს გარეშე ამტკიცებს იმ გეგმის არსებობას, რომ სამხედრო ტყვეების მატარებლების სახით გადაყავენ ჯარები პოლონეთის დასახმარებლათ. ამის შესახებ მიღებულ იქნა ერთხმათ გადაწყვეტილება, რომ არავითარ შემთხვევაში არ გაუშვან ასეთ სამხედრო მატარებლები და არ მისცენ სამხედრო მასალის გადატანის ნება. ამ მიზნით ეწყობა სპეციალური კომისია რკინის-გზის ზოგელი მოძრავის შემდეგენლობის სასტიკი თვალყურის დევნებისათვის.

### გაფიცვა იზრდება.

ქრისტიანია. რკინის გზელების კონფლიქტი ნორვეგიაში ფართოვდება. არავითარ შეთანხმებას არ ელიან. გაფიცვის შედეგის განსჭვრეტა ძალიან ძნელია.

### გაფიცვა ავსტრალიაში.

როგორც „ტაიმსი“ იტყობინება, ავსტრალიაში ყველა მთავრობის მოსამსახურენი რკინის გზელების და ფოსტელების გარდა, რომლებიც ითვლებიან სამხედრო მოსამსახურეებათ—გაიფიცნენ. დაიხურა ყველა შკოლები, სამსაჯულოები, ბანკები, შემნახველი კასები, საადმინისტრაციო დაწესებულებები. გაფიცვა მეტად მძიმე გავლენას ახდენს საქმიანურ ცხოვრებაზე. მთავრობასა და გაფიცულებს შორის მოლაპარაკებას ჯერ-ჯერობით არ მიუცია არავითარი შედეგი.

# პროვინციის ცხოვრება.

### სამტრედიის მომხმარებელთა საზოგადოება „დახმარება“

ექვსი წლის ისტორია აქვს ამ კოოპერატივს. ის დაარსდა სწორეთ იმ დროს, როცა თოფ-ზარბაზნის ხმამ მოიცვა ირგვლივ ქვეყანა და ცეცხლის ალში გაახვია ის. ხალხმა მაშინვე იგრძნო თუ როგორი იქნებოდა მისი ეკონომიური პირობები. რამოდენიმე ინიციატორთა მეოხებით დაარსდა კოოპერატივი უმთავრესათ სიმინდის გულისათვის.

მას აქეთ დიდმა დრომ განვლო. ომიანობამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო და ეკონომიური პირობები თან და თან გაუარესდა, რის გამო კოოპერატივის მნიშვნელობა თან და თან მეტი შეიქნა და მას ხალხმა მეტი ნდობის თვალით დაუწყო ცქერა. მაგრამ ნათქვამია: „ახალი ცოცხი კარგათ გვისო“ და ასე მოსდიოდა კოოპერატივის გამგეობასაც, გამგეობის არჩევნები არ იწვევდა მაინც და მაინც დიდს შეხლა-შემოხლას, რადგანაც „ოპოზიციონერები“ არ ყავდათ აქაურ მენშევიკებს ამ საქმეში; ხანდახან ფედერალისტები აუტყდებოდენ, მაგრამ იმათ იშინაურებდენ.

და ასე გამგეობა შედგებოდა მუდამ ერთ და იმავე პარტიისაგან და თითქმის ერთ და იმავე პირთაგან თითო ორიოლა პირების გამოკლებით, რაც იწვევდა წევრთა შორის გულცივობას და ხალხის თვალში მისი მნიშვნელობის მეტ დაცემას; საქონელი ნაკლები მიქონდათ და რაც მოქონდათ, ისიც უსისტემოთ ნაწილდებოდა, „მეგობრულათ“ „ძმა-ბიჭებში“. ამის გამო არა ერთხელ წავყრივარ ხალხში ლაპარაკს, მაგრამ ეს ხმა რჩებოდა უდაბნოსა შინა.

ამასთანავე ჩვენი კოოპერატივი წარმოდგენილი გვაქვს, როგორც საზოგადოების „მომხმარებელი“, ფასის დამწევი ბაზარზე სხვა ვაჭრებთან შედარებით ამა თუ იმ საქონელში; ჩვენ კი რას ვხედავთ სამტრედიის კოოპერატივში? იქ პირიქით ვაჭრებს ეჯიბრებიან მოუმატა მის გვერდზე ვაჭარმა, კოოპერატივიც უმატებს და ასე ბოლომდის, ჩვენ ვამბობთ, ეს არ უნდა შეადგენდეს ამ საზოგადოების მიზანს, ის უნდა ეჯიბრებოდეს ვაჭრებს საქონლის ფასის დაწევაში და არა მომატებაში.

კოოპერატივს აქვს სასადილო, რომელიც თითქმის არაფრით არ განსხვავდება სხვა სამიკიტნოებისაგან. არც ეს არის დასაშვები.

დღეს, 19 სექტემბერს უნდა მოხდეს ამ კოოპერატივის ექვსი თვის საზოგადო არა ჩვეულებრივი კრება. ამიტომ საჭიროა წევრებმა მეტი კრიტიკა გაუწიონ ბევრს დეფექტებზე და გაასწორებინონ ის, წინააღმდეგ შემთხვევაში კოოპერატივი დაკარგავს ნდობას ხალხის თვალში,—თავის სახეს, როგორც მომხმარებელი.

დაჩაგრული.

---

### ივანდიდი (ხონის რაიონი)

4 ივნისს ა. წ. ივანდიდში პირველ დაწყებითი სკოლის შენობაში ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა გამართეს წარმოდგენა—საღამო, საქველმოქმედო მიზნით. საინტერესო ისაა, რომ წარმოდგენის გათავების შემდეგ გაიმართა რასაკვირველია ცეკვა და ბანქოს თამაში.

ბანქოს არხეინათ შექცეოდენ 11—12 წლის ბავშვებიც.

ისინი დიდ ენერგიას იჩენდენ თამაშში და დაჭუჭყნული ხუთი ან ათი მანეთიანები ამოქონდენ ჯიბეებიდან ხელების ცახცახით.

ასე ხდება მენშევიკების თავისუფლების „ოაზისში“ ალბათ ახალთაობამ თუ ბანქოს თამაში კარგათ არ შეისწავლა, ისე ძნელია სოციალიზმში შესვლა.

ეს ბავშვები უმთავრესათ ადგილობრივი სკოლების მოწაფეენია. საღამოს ბატონ-პატრონი კი ბრძანდებოდა ივანდიდელ მენშევიკების „ლიდერი“ ქ ნი გარდაფაძე.

* * *

ხონის მუშათა მაგიდაში, როგორც თვით ივანდიდის ეკლესიის მღვდელმა კერძო ლაპარაკში წარმოსთქვა, მიუღიათ ე. ი. ჩაუწერიათ ეს მღვდელი, რომელიც მიიღებს სურსათ-სანოვაგეს ისე, როგორც მუშა. როდესაც ამაზე ერთმა ადგილობრივმა ერთ-ერთ დარგის მოსამსახურემ შეეკითხა მღვდელს: რა ნება ჰქონდა მღვდელი ჩაეწერათ მუშათა მაგიდაში და დაუმატა პროტესტი უნდა შევიტანოო.—მღვდელმა უპასუხა: „ჩამწერეს, როგორც მოსამსახურეო“.

* * *

17 აგვისტოს ივანდიდის ყანების მცველებმა (მეველეებმა) სხვის ყანებში დაიჭირეს ადგილობრივი მევახშე—კულაკი ფილიპე მაჭარაძე. საქმე შემდეგში ყოფილა: ზოგიერთი ყანების პატრონები გაკვირვებას იყვნენ იმის გამო, რომ ვიღაც დადიოდა ყანებში და ჯერ კიდევ ლუტუ ტაროებს ტეხდა, და ეს განუცხადეს ადგილობრივ მეველეს. მეველეებმაც დაუდარაჯდენ და რა საშინელებაა, ვინ დაიჭირეს ტომრით ხელში, რომელშიაც მოტეხილ ტაროებს ჰყრიდა შიგ? ვინ და ადგილობრივი მდიდარი, რომელიც საწყალ ხალხს ტყავს აძრობს თავისივე მევახშეობით ფილიპე მაჭარაძე. ის ფილიპე მაჭარაძე, რომელსაც ვიღაც „დეპოს მუშა“ თავგამოდებით იცავდა „მუშათა“ გაზეთ „ერთობის“ № 91, ამა 1920 წ.

ჯერ-ჯერობით ბ. ფილიპე თავისუფლათ დაბრძანდება, და ვნახოთ რას უზამს მენშევიკების, ხონის (ნაპრისტავალი) კომისარი; მგონია არაფერს.

* * *

ივანდიდის მცხოვრებლები, ღარიბი გლეხკაცობა უკიდურეს სიმშილს განიცდის. სიტიტვლეზე ლაპარაკიც მეტია. მაგალითად, შეხვდებით ისეთ პირებს, რომლებსაც საცვლები არ აცვიათ. ამას წინათ ყანაში ერთმა გლეხმა მიამბო თავისი გაჭირვება და თან მაჩვენა, რომ მას არ აცვია თეთრეული; ეცვა შარვალი და რაღაც ტუჟურკასავით, მაგრამ ისიც დაგლეჯილი და ათას ალაგას მიკერილ მოკერილი. ამ გლეხს ჰყავს რვა სული სარჩენი. სხვათაშორის, გლეხმა შემომჩივლა, რომ მას ეუბნებიან სალდათების ყანების გათოხნაში უნდა მიიღო მონაწილეობაო. რა ვქნა, სთქვა გლეხმა, მე სხვისი ყანები ვთოხნო კი არა, ტანზე არ მაცვია და ფეხზეო და სარჩენი კი 8 სული მყავსო.

ასეთ „ფუფუნებაში“ ცხოვრობს ივანდიდის ღარიბი გლეხობა, და ამავე დროს ჩარჩები და სპეკულიანტები მენშევიკების ლოცვა-კურთხევით განაგრძობენ თავიანთ საგმირო საქმეებს საქართველოს „ასაყვავებლათ“.

Buzarius.

# მენშევიკის განცხადება

დღემდის მე ვირიცხებოდი საქართველოს სოციალ დემოკრატიულ პარტიაში; მაგრამ დავრწმუნდი რა, რომ ეს პარტია არ იცავს მუშათა ინტერესებს,—გამოვდივარ იქიდან და ვეწერები მუშათა კლასის ინტერესების ერთად-ერთ დამცველ საქართველოს კომუნისტურ პარტიაში. ვაგზავნი აგრეთვე ას მანეთს გაზეთის სასარგებლოთ.

მუშა კ. ჯოჯუა

ახალი სოფელი (სამეგრელო).

# ჩვენი ფოსტა

ბ. შაველაპირელს: დაგვიანებულია და არ დაიბეჭდება.

კალე შეოდოხიშვილს: ლექსები არ გამოგვადგა.

დრ. რედაქტორი: ა. ქურიძე.